ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3820827

ნომერი: AR1569965

თარიღი : 16.01.2018

გაცემის თარიღი : 15.02.2018

გაცნობის თარიღი : 16.02.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

სამგორის ქ. #2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მანანა ქართველიშვილი პ/ნ 01009008535
- თბილისი ვაჟა-ფშაველას I შეს. N 3 ბ. 167

ნომენკლატურა :

- აშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : არასაცხოვრებელი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს ელექტრონულად წარმოდგენილი #AR1569965 განცხადებით მომართა მოქალაქე მანანა ქართველიშვილმა და მოითხოვა, ქ. თბილისში, სამგორის ქ. #2-ში შენობა-ნაგებობის ლეგალიზება, „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის თანახმად. ვინაიდან ზემოხსენებულ #AR1569965 განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტებს აღენიშნებოდათ

გარკვეული ხარვეზები, სამსახურის 2018 წლის 02 თებერვლის #3805029 ბრძანებით განმცხადებელს დაევალა დამატებითი და შესწორებული დოკუმენტების 10 (ათი) დღის ვადაში წარმოდგენა, რაც არ განხორციელდა სრულყოფილად. ასევე, არ იქნა წარმოდგენილი 01.17.11.008.078 და 01.17.11.008.098 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის თანამესაკუთრ(ეებ)ის მიერ გაცემული სათანადო თანხმობა - სალეგალიზაციოდ წარმოდგენილი ობიექტის ლეგალიზებაზე, არ იქნა წარმოდგენილი ობიექტის სრულყოფილად ამსახველი ფოტოსურათები (მათ შორის კართან დამაკავშირებელი მონაკვეთის ასახვით), არ იქნა წარმოდგენილი მშენებლობის 2007 წლამდე დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი. არქიტექტურული პროექტი არ იქნა არსებულ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანილი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის მე–5 ნაწილის თანახმად, „თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.“
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, როგორც „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელმა ორგანომ, მიიღო გადაწყვეტილება, #AR1569965 განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის მე–5 ნაწილის თანახმად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

განუხილველად იქნეს დატოვებული მოქალაქე მანანა ქართველიშვილის განცხადება;

•
დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.